საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი
GEORGIAN INSTITUTE OF POLITICS

GIP პოლიტიკის მემორანდუმი მაისი 2023 / გამოცემა #68

ქართული ოცნების პოპულისტური კონსერვატიზმი: ბრძოლა ლეგიტიმაციისა და ძალაუფლების შენარჩუნებისთვის

ნინო სამხარაძე[1]

უახლოეს საპარლამენტო არჩევნებამდე დაახლოებით ერთი წლით ადრე, როდესაც ბრიუსელში არსებული კულუარული ინფორმაციით, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭება უფრო და უფრო რეალური ხდება (რადიო თავისუფლება 2023), ქვეყნის მმართველი პარტია ემიჯნება ევროპულ პოლიტიკურ ოჯახს, ტოვებს ევროპელი სოციალისტების პარტიას (ქართული ოცნება 2023), კონფრონტაციულ რიტორიკაში შედის საქართველოს მეგობარ ევროპელ პოლიტიკოსებთან და რისკის ქვეშ აყენებს ქვეყნის წარმატებულ ევროინტეგრაციას. ამ ფონზე, 2024 წლის არჩევნებზე პარტიამ საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო მეოთხე სახელისუფლებო ვადისთვის უნდა იბრძოლოს. თუმცა, სხვადასხვა საზოგადოებრივი კვლევის მიხედვით, ბოლო წლის განმავლობაში, ოცნების მხარდაჭერა საგრძნობლად შემცირდა (CRRC 2023; 2022).

ამ ფონზე, თანდათან მმართველი პარტია ცვლის იდეოლოგიურ ვექტორს და პოპულისტური კონსერვატიზმისკენ იხრება. ოცნებაში კონსერვატიზმით შეფუთული პოპულიზმი, შესაძლოა, აღიქმებოდეს, როგორც ახალი წინასაარჩევნო სტრატეგია კლებადი მხარდაჭერის ფონზე. ქვეყნის პრემიერ-მინისტრის მოხსენებამ 2023 წლის მაისში უნგრეთში გამართულ კონსერვატიული პოლიტიკური მოქმედების კონფერენციაზე (CPAC Hungary 2023) ამ

[1] პოლიტიკის ანალიტიკოსი, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი.

დინამიკას ერთგვარი კულმინაციური ელფერი შესძინა. პოლიტიკის მემორანდუმი განიხილავს ქართული ოცნების ბოლოდროინდელ იდეოლოგიურ ფერისცვალებას, როგორც ხელისუფლების შენარჩუნების პოპულისტურ სტრატეგიას, რომელსაც პარტიამ მიმართა შემცირებული შიდა მხარდაჭერისა და გაუარესებული საგარეო ურთიერთობების ფონზე.

პოპულისტური კონსერვატიზმი, როგორც ახალი იდეოლოგიური თავშესაფარი?

პოლიტიკური ძალის გრძელვადიანი მმართველობა, თუ ის განსაზღვრულია არადემოკრატიული ტენდენციებით და ორიენტირებულია ძალაუფლების შენარჩუნებაზე, ხშირად დგება ლეგიტიმაციის კლების რისკის წინაშე. ასეთ დროს, კონსერვატიული, ნატივისტურ-ემოციური თუ კონსპირაციული ნარატივების გაძლიერება, როგორც წესი, საზოგადოებრივი მხარდაჭერის მობილიზებისა და გამყარებისთვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი ხდება (Plyakov 2015; Makarychev & Yatsik 2014). კონსერვატიული პოპულიზმი არ არის კლასიკური პროტექციონიზმი ეკონომიკურ, სოციალურ თუ საგარეო პოლიტიკაში, როგორც, მაგალითად, ეს დონალდ ტრამპის ადმინისტრაციას ახასიათებდა, ის მეტად უფრო პარტიის რიტორიკის ნაწილია, ვიდრე პოლიტიკური დღის წესრიგის (Walker 2022; Kiely 2020). პოპულისტური კონსერვატიზმი თავისი ბუნებით უახლოვდება პოპულისტურ რადიკალურ მემარჯვენეობას და მოიცავს ნატივიზმს, ავტორიტარიზმს და „ნამდვილი ხალხის“ ცნებას, როგორც მთავარ ინსტრუმენტებს (Mudde 2004; Mudde 2016; Kiely 2020). ამგვარად, ასეთ დროს კონკრეტული პოლიტიკური ელიტა არა მხოლოდ საუბრობს „ნამდვილი ხალხის“ ან „უმრავლესობის“ სახელით, არამედ რიყავს საზოგადოების გარკვეულ ნაწილს საკუთარი ნარატივიდან, თუ ისინი „ხალხის“ ავთენტურ ნაწილად არ მიიჩნევიან (Mudde 2016) და ამგვარი თემების პოლიტიზებას ახდენს ძალაუფლების შესანარჩუნებლად (Kiely 2020). რადგანაც, როგორც წესი, ამომრჩევლისთვის კულტურული ფაქტორები სენსიტიურად და ემოციურად მნიშვნელოვანი გამომწვევი თემებია, კონსერვატიული პოპულიზმით გაჯერებული კონსერვატიზმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოებრივი მხარდაჭერის მობილიზებაში მაშინაც კი, როცა მმართველ ძალას გადაცდომები აქვს ადამიანის უფლებებთან, დემოკრატიზაციასთან, ეკონომიკურ გაჯანსაღებასთან თუ სხვა პოლიტიკურ საკითხებთან დაკავშირებით (Duek 2019).

ბოლო წლების განმავლობაში, ქართული ოცნება ხშირად ხდება როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კრიტიკის საგანი დემოკრატიზაციის და ევროინტეგრაციის ჩავარდნის გამო. 2016 წელს პარტიის მეორე ვადით არჩევის შემდეგ დემოკრატიის მიმართულებით ხარვეზები ძლიერდება, რაც კარგად ჩანს სხვადასხვა ავტორიტეტულ საერთაშორისო ინდექსებში (დიაგრამა 1; EIU 2022; Civil.ge 2022).

დიაგრამა 1: *საქართველოს თავისუფლების ინდექსი Freedom House-ის მიხედვით 2017-2023 წლებში*



წყარო: *https://freedomhouse.org/explore-the-map?type=fiw&year=2023*

შესაბამისად, გასაკვირი არ არის, რომ მმართველი პარტიის პირველი ვადის შემდგომ, ოცნებასთან თავს უფრო და უფრო ცოტა ადამიანი აიდენტიფიცირებს (დიაგრამა 2). შესაბამისად, პარტიას სჭირდება ძლიერი მექანიზმები, რათა შეინარჩუნოს ძალაუფლება ლეგიტიმური არჩევნების გზით. ამ ამოცანის შესასრულებლად ულტრა-ნაციონალისტურ მოტივებზე დაფუძნებული პოლიტიკური რიტორიკა ერთ-ერთი ძლიერი ინსტრუმენტი შეიძლება იყოს.

დიაგრამა 2: *რომელი პოლიტიკური პარტია დგას თქვენს შეხედულებებთან ყველაზე ახლოს? 2017-2023 წლები*



წყარო: *https://www.ndi.org/georgia-polls*

მიუხედავად იმისა, რომ ქართული ოცნება ხელისუფლებაში მოსვლისას ღირებულებით ჭრილში ლიბერალურ სოციალ-დემოკრატიულ პარტიად პოზიციონირდებოდა (რადიო თავისუფლება 2012), ის თანდათან გარდაიქმნა კონსერვატიული ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილ ძალად (Jones & Sabanadze 2023). პარტიის კონსერვატიული პლატფორმა კიდევ უფრო გაამყარა 2023 წლის მაისში პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის CPAC-ზე მონაწილეობამ მომხსენებლის სტატუსით. შედეგად, ევროპელი სოციალისტების პარტიაში (PES) დაიწყო განხილვა ოცნების ევროგაერთიანებიდან გარიცხვის შესახებ, რადგან, მათი შეფასებით, პრემიერ ღარიბაშვილის ეს ქცევა ევროპული ოჯახის ღირებულებებთან წინააღმდეგობაში მოდის გამომდინარე იქიდან, რომ CPAC არალიბერალი და ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი მემარჯვენე ლიდერების პლატფორმად ითვლება (PES 2023; Realpolitik 2023).

საყურადღებოა, რომ ამის შესახებ თავად პარტიის წევრები განსაკუთრებულ წუხილს არ გამოთქვამდნენ (სამხარაძე 2023) და შედეგად 2023 წლის 11 მაისს მმართველმა პარტიამ ევროპელი სოციალისტების პარტია ოფიციალურად დატოვა ორი ოფიციალური მიზეზით: PES-ის მხრიდან სოციალ-დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფა და ევროპულ

პარტიაში ქართული ოცნების მიმართ მხარდაჭერის არარსებობა (ქართული ოცნება 2023). ჩნდება ძლიერი ეჭვი, რომ მმართველი პარტიის ეს გადაწყვეტილება იყო ერთგვარი სტრატეგია, დაესწრო ევროპარტიიდან გარიცხვის პროცედურისთვის, რაც ქართული საზოგადოების დიდი ნაწილის თვალში უფრო მეტად დააზიანებდა პარტიის ისედაც კლებად ავტორიტეტს, ვიდრე ევროპარტიის საკუთარი ნებით დატოვება და თავის გამართლება თავად ევროპელი სოციალისტების კრიტიკის გზით. მსგავსი სცენარი გათამაშდა ორი წლის წინაც, როდესაც ქართული ოცნების ხელისუფლებამ წინსწრებით თქვა უარი ევროკავშირის მაკროფინანსური დახმარების მიღებაზე, მაშინ, როდესაც საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის გამო, ბრიუსელში უკვე განიხილებოდა ამ დაფინანსების შეჩერების საკითხი. ამგვარი მანიპულაციების ნორმალიზება ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ქართული ოცნება მუდმივად გაურბის ევროკავშირთან დაახლოების მთავარ გარემოებას - პირობითობის პრინციპს, რაც შიდა დემოკრატიულ გადაცდომებზე ბრიუსელიდან შესაბამის ნეგატიურ რეაგირებას ნიშნავს (სამხარაძე 2021). თავის მხრივ, ეს ქმნის განცდას, რომ ქართული ოცნების ხელისუფლება პროაქტიულად იხსნის ვალდებულებას, შეასრულოს ბრიუსელის რეკომენდაციები, რადგან პირობითობის პრინციპის არარსებობის შემთხვევაში, ცხადია, ამ რეკომენდაციებისთვის გვერდის ავლა მმართველი პარტიისთვის, რომელსაც ძალაუფლების შენარჩუნება სურს, გამარტივდება.

ქართული ოცნების ევროპულ პოლიტიკურ ელიტასთან ურთიერთობების ამგვარი განვითარება ქვეყნისთვის საზიანოა არაერთი თვალსაზრისით: მმართველი პარტია იმ სახელმწიფოში, რომელიც მიისწრაფვის ევროინტეგრაციისკენ, არ შეიძლება, ევროპული პოლიტიკური აქტორებისგან იზოლირებული იყოს და, უფრო მეტიც, კონფრონტაციულ რეჟიმში იმოქმედოს ევროპელ მეგობრებთან. ამ ნაბიჯით ოცნება იხსნის პასუხისმგებლობას ბრიუსელის წინაშე, ბოლომდე მიიყვანოს ქვეყნის დემოკრატიზაცია. საბოლოო ჯამში კი, მმართველ პარტიას ხელ-ფეხი ეხსნება, უფრო მეტად დააშოროს საქართველო ევროპულ სტანდარტებს და წარმატებულ ევროინტეგრაციას.

ქართული ოცნების მმართველობის გრადაცია კონსერვატიული პოპულიზმისკენ

ქართული ოცნება, როგორც კოალიციური და, შემდეგ, ერთპარტიული სახელისუფლებო ძალა, ყოველთვის გამოკვეთილად კონსერვატიული არ ყოფილა. 2012 წელს, როდესაც ის გამოჩნდა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი

მმართველობის წინააღმდეგ, იყო ბევრად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი პოლიტიკური აქტორი ლიბერალური ნარატივებით (რადიო თავისუფლება 2012). ქართული ოცნების ლიდერების მთავარ ამოცანად ისახებოდა ადამიანის უფლებების მიმართულებით არსებული გადახრების აღმოფხვრა, რომლებსაც ენმ-ის მმართველობის ქვეშ ჰქონდა ადგილი. რიტორიკულად, ქართული ოცნების პლატფორმაში ხაზგასმული იყო უმცირესობების უფლებების გათანაბრება საზოგადოების მეინსტრიმულ სეგმენტებთან, მათ შორის, გამოხატვის თავისუფლების მიმართულებით. პარტიის მაშინდელი ლიდერი, ბიძინა ივანიშვილი ენმ-საც კი აკრიტიკებდა უმცირესობების უფლებების არასათანადო დაცვის გამო, რაც სოციალ-დემოკრატებად მონათლულ პარტიას ახალ ლიბერალურ ძალად წარმოაჩენდა ქართულ პოლიტიკურ ველზე (ივანიშვილი 2013).

დროთა განმავლობაში, ცხადი გახდა ქართული ოცნების მიდრეკილება ერთპარტიულობისკენ და ძალაუფლების ნებისმიერ ფასად შენარჩუნებისკენ. პარტია დაიცალა ლიბერალი მოკავშირეებისგან და პროდასავლელი პოლიტიკური ლიდერებისგან (Jones & Sabanadze 2023; ნეტგაზეთი 2019). მიუხედავად იმისა, რომ დღესაც ოცნების ლიდერები პროდასავლურ ძალად პოზიციონირებენ, ოცნების მეორე ვადით არჩევის შემდეგ, 2016 წლიდან მომრავლდა დასავლურ რიტორიკასთან აცდენილი, ხოლო მესამე ვადის განმავლობაში, დასავლელ სტრატეგიულ პარტნიორებთან დაპირისპირებული და ხისტი რიტორიკა (Kakachia & Kakabadze 2022).

პერიოდულად მთავრობის დემოკრატიასთან არათავსებადი გადაწყვეტილებები როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კრიტიკის საგანია. განსაკუთრებით კრიზისულ შემთხვევებში ხელისუფლება კონსერვატიულ გზავნილებს ეფარება. ასეთი მაგალითი იყო 2020 წლის 5 ივლისის ტრაგიკული მოვლენები, რაც მოჰყვა LGBTQ თემის მიერ დაგეგმილ ღირსების მარშის კონტრ-დემონსტრანტების მიერ ჟურნალისტების ცემას. მაშინ ხელისუფლებამ არ აიღო საკუთარ თავზე მარშის მონაწილეების დაცვა. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა ისიც თქვა, რომ *„მთავრობა უმრავლესობის წინააღმდეგ ვერ წავა“*, რაც მანიპულაციური განცხადება იყო ადამიანის უფლებათა დასაცავად სახელმწიფოს უმოქმედობის ფონზე (ღარიბაშვილი 2020). ამას ისიც ემატება, რომ შესაბამის უწყებებს დღემდე არ გამოუძიებიათ ამ მოვლენების შედეგად ჟურნალისტ ლექსო ლაშქარავას სიკვდილის გარემოებები სრულფასოვნად, რაც ასევე მმართველი ძალის პოლიტიკური ნების დახასიათებაა: მთავრობისთვის მნიშვნელოვანია, ჰყავდეს მოკავშირე აგრესიულ კონსერვატიულ ძალების სახით, რომელთა აქტივიზმს და პოლიტიკურ მიზნებს ის გამოიყენებს დემოკრატიული და ლიბერალური ძალების წინააღმდეგ შეფარული

ბრძოლისთვის (Zurabashvili 2021). ამასთან, ქართული ოცნება მიმართავს ისეთ მანიპულაციებს, როგორიცაა პარლამენტში თავისი განაყოფი პოლიტიკური ჯგუფის, ხალხის ძალის სახით გამოკვეთილად ანტიდასავლური აქტორის შექმნა, რომლის სახელით ჟღერდება პოპულისტური განცხადებები ევროინტეგრაციის ან ამერიკული ელიტის მიმართულებით, რომლებსაც თავად ოცნება, როგორც სახელისუფლებო ძალა, ღიად ვერ დააფიქსირებს (Kakachia & Samkharadze 2022).

ოცნების არადემოკრატიული კონსერვატიული დევიაციის კულმინაციური წერტილი იყო 4-5 მაისს ქვეყნის პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლა ამერიკელი კონსერვატორების გლობალურ ფორუმზე. ეს მოვლენა ორი მთავარი მიმართულებით შეიძლება იყოს წყალგამყოფი პარტიის და ქვეყნის ცხოვრებაში: ღარიბაშვილის სიტყვა არის ერთგვარი მანიფესტი, რომელიც საბოლოოდ გამოკვეთს მმართველი ქართული ოცნების პოპულიზმის კონტურებს. თუმცა, ამასთან მნიშვნელოვანია, რომ ოცნებამ, ამჯერად უკვე საერთაშორისო დონის განაცხადი გააკეთა საკუთარი პოპულისტურ-კონსერვატიული პლატფორმის შესახებ. შედეგად, საქართველო, როგორც სახელმწიფო კიდევ უფრო მეტად ასოცირდა იმ არალიბერალურ ინტერნაციონალთან, რომელიც დემოკრატიულ საზოგადოებაში ხშირად კრიტიკის საგანია.

როგორია ქართული ოცნების პოპულისტური კონსერვატიზმის შინაარსები და რატომ არის ისინი სახიფათო?

ქართული ოცნების ლიდერების საკვანძო განცხადებების, გამოსვლებისა თუ ინტერვიუების ანალიზის შედეგად, შეიძლება, გამოიკვეთოს ის ძირითადი ნარატივები, რომლებიც ხელისუფლების არალიბერალური კონსერვატიზმისკენ გადახრას ასაახვს და, საბოლოოდ, ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას უქმნის საფრთხეს.

<u>მტრის ხატი ქვეყნის შიგნით</u>

მტრის ხატის შექმნა ნაციონალისტური პოპულიზმის ერთ-ერთი მთავარი ქვაკუთხედია (Mudde 2002). ქართული ოცნების სხვადასხვა ლიდერები, პერიოდულად, სხვადასხვა აქტორებს სახავენ ქვეყნის ღირებულებების, ღირსების თუ იდენტობის მტრებად. ეს პროცესი, საჭიროებისამებრ, მიმდინარეობს როგორც შიდა, ისე გლობალურ დონეზე.

შიდა დონეზე გამოიყოფა, ერთი მხრივ, „რადიკალური ოპოზიცია“ ენმ-ის ლიდერობით და, მეორე მხრივ, ლიბერალური პროდასავლური ძალები, ე.წ. „მდიდარი ენჯეოები“, როგორც ამას სამთავრობო მედია აშუქებს (TV Imedi 2022). ქართული ოცნების ხელისუფლებაში მოსვლის მთავარი განაცხადი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა იყო. დღეს მნიშვნელოვნადაა დასუსტებული როგორც ელექტორალურად, ისე რეპუტაციულად. თუმცა, ქართული ოცნებისთვის ეს აქტორი თავდასხმის კვლავ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარული სამიზნეა, რაც ერთგვარი მცდელობაა საზოგადოების ნაწილის აგრესიული მობილიზებისთვის, რაც საბოლოოდ, დამაზიანებელი პოლარიზაციის ხელოვნურად შექმნის მაგალითია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება პოლიტიკური ოპონენტების, განსაკუთრებით კი, ენმ-ის ისეთი იარლიყებით მონათვლა, როგორიცაა „უსამშობლოთა გაერთიანება“, „ომის პარტია“, „უღმერთოები“ და ა.შ.

ხშირად ამას ემატება ლიბერალური აქტორების - სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების დემონიზება. სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში საკმაოდ ძლიერია და დემოკრატიზაციის სადარაჯოზე მყარად დგას, რაც ცხადია, აწუხებს ხელისუფლებას, რომელსაც მეოთხე ვადით სურს ძალაუფლების შენარჩუნება. აქედან გამომდინარე, ოცნების ლიდერების რიტორიკაში ხშირად ჩანს არა არგუმენტირებული, არამედ კონსპირაციულ ნარატივზე დაფუძნებული დემონიზების მცდელობები, როგორც ეს მოხდა 2022 წლის ივლისში ევროინტეგრაციის მხარდამჭერი აქციის შემთხვევაში, როდესაც ირაკლი კობახიძემ თქვა, რომ *„სცენაზე ვინც იდგა იმ აქციებზე, ყველა იყო უსამშობლო და უღმერთო იმ გაგებით, რომ რწმენა არ აქვთ არანაირი“*(კობახიძე 2022). იგივე შეიძლება ითქვას 2023 წლის მარტში ე.წ. „აგენტების კანონის“ მოწინააღმდეგეთა შემთხვევაში, როდესაც მან განაცხადა: *„ეკლესიის მაგინებლები ვერასოდეს შეიყვანენ საქართველოს ევროკავშირში. ჩვენ ვივლით წინ ქრისტიანობით ევროპისკენ!“* (კობახიძე 2023b). ასევე, ის თავის ერთ-ერთ გამოსვლაში ამბობს, რომ „სწორედ „ნაციონალური მოძრაობა“, *ენჯეოები, გვარამია და მათი უცხოელი ლობისტები არიან, თავისი არსით, ანტიევროკავშირი“* (კობახიძე 2023a). შესაბამისად, შიდა დონეზე თანდათან იქმნება მტრის ხატი მთავრობის მიმართ კრიტიკულად განწყობილი სუბიექტების სახით, ჯანსაღი დემოკრატიული პოლიტიკური პროცესის პერსპექტივას ხელს არ უწყობს.

<u>მტრის ხატი ქვეყნის გარეთ</u>

სასიცოცხლო ზიანის მოტანა შეუძლია მტრის ხატის ბუნდოვანი კონსტრუქციების შექმნას საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების - აშშ-ის, ევროკავშირის, უკრაინის გარშემო. მუდმივი ვერბალური დაპირისპირებები ამერიკის ელჩთან, ევროპარლამენტარებთან თუ

უკრაინულ ელიტასთან საზოგადოების დიდი ნაწილის გაღიზიანებას იწვევს (GIP 2022). შესაბამისად, ამ ხისტი ურთიერთობების შეფუთვაც ემოციური და პოპულისტური სენტიმენტებით ხდება. ქართული ოცნების ერთ-ერთი წევრი პაატა ღუდუშაური ამბობს, რომ *„ჩვენ ჩვენი ისტორიითა და იდენტობით ვამაყობთ. საქართველო იმ ღირებულებების ერთგულია, რომელსაც ევროპული ღირებულებები ჰქვია - დიახ, დღეს თუ საქართველო რაიმეს იმსახურებს, ეს არის ევროკავშირის ღირსეული წევრობა“* (ღუდუშაური 2023). „ღირსების“ ფენომენის შეფერხებული ევროინტეგრაციის კონტექსტში გამოყენება ოცნების მხრიდან პირველი არ არის. ჯერ კიდევ „აგენტების კანონის“ შესახებ დებატში მთავრობის ერთგვარ სლოგანად იქცა *„ღირსებით ევროპისკენ“*, რაც თითქოს იმაზე მიანიშნებს, რომ ევროკავშირისგან რეფორმებსა და პოლიტიკურ მოვლენებზე მიღებული კრიტიკა ქვეყნისთვის ღირსების შემლახავია და ბრიუსელი ქართულ ღირებულებებს და ქვეყნის ღირსებას აყენებს ეჭვქვეშ.

გლობალურ დონეზე ოცნების მიერ მტრის ხატის შექმნის სტრატეგიის მსხვერპლი გახდა სტრატეგიული ურთიერთობები უკრაინასთან, რომელიც საქართველოს ტრადიციულ მოკავშირედ მიიჩნეოდა ევროინტეგრაციის გზაზე. თუმცა, ხშირად, ზელენსკის ხელისუფლება, რომელიც ენმ-ის ლიდერებთან თანამშრომლობით და მეგობრობით გამოირჩევა, დემონიზების საგანი ხდება ოცნების რიტორიკაში. მაგალითისთვის, „ქართულმა ოცნებამ“ კიევის მისამართით გააკეთა მძიმე და სენსიტიური განცხადებები, როგორიცაა *„[ნაციონალური მოძრაობის წევრები] კარგად თუ დაეხმარებიან [უკრაინის ხელისუფლებას], ასწავლიან როგორ ხდება გვამების შემოდება უკრაინაში“* (ოხანაშვილი 2022). ეს მაშინ, როდესაც უკრაინა ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ ბუჩაში რუსების მიერ დატრიალებული შემზარავი ხოცვა-ჟლეტა არ იყო უკრაინელების ინსცენირება და სინამდვილეში, რუსეთი ომის დამნაშავეა (Browne, Botti & Willis 2022). შედეგად, საქართველოს ხელისუფლება რიტორიკულად გამოეყო ასოცირებული ტრიოს გეოპოლიტიკურ ერთობას და, ფაქტობრივად, დაკარგა მოკავშირეები, რომლებთან ერთადაც ერთობლივად უნდა მიეღწია ევროინტეგრაციული მიზნებისთვის (ჩხიკვაძე 2023). საბოლოო ჯამში, ყველა ფრონტზე მტრის ფიგურების ძებნით ან გამოგონებით ოცნება იზოლირდება ცივილიზებული საერთაშორისო საზოგადოებისგან, რაც ქვეყნის საგარეო ურთიერთობებს და წარმატებულ ევროინტეგრაციას არაერთი რისკის ქვეშ აყენებს.

„უმრავლესობა“ ყველას წინააღმდეგ

პრემიერ ღარიბაშვილის გამოსვლის მთავარი აქცენტები CPAC-ზე იყო *„ტრადიციული ღირებულებების შენარჩუნება“* და *„უმცირესობის მიერ უმრავლესობაზე ძალადობის*

დაუშვებლობა”, რაც არადემოკრატიული მმართველობის პირობებში, შესაძლოა, ჰომოფობიური მანიპულაციის თემა ადვილად გახდეს. ქართული ოცნების რიტორიკაში მომრავლდა ტერმინ *„უმრავლესობა“*, როგორც მთავრობის კონკრეტული ქცევის ლეგიტიმაციის წყარო. ცხადია, პოლიტიკურ პროცესებში, განსაკუთრებით, დემოკრატიულ რეჟიმებში, უმრავლესობის ფაქტორი გადამწყვეტია, თუმცა ის შეიძლება იქცეს ისეთ რეპრესიულ „უმრავლესობად“, რომელიც ქვეყანას არაჯანსაღი განვითარებისკენ წაიყვანს. *„უმცირესობის მიერ უმრავლესობაზე ძალადობის”* თემა სინქრონულია საქართველოში ულტრა-მემარჯვენე ძალადობრივი ჯგუფების ნარატივისა, როდესაც ისინი გაცხადებულად ილაშქრებენ *„უმცირესობის დიქტატურის“* წინააღმდეგ (კუნჭულია 2021). ამგვარი ტენდენცია შეიძლება იქცეს ძალადობის ლეგიტიმაციად ჰიბრიდული დემოკრატიის ქვეყნებში, როგორიც საქართველოა.

როგორც წესი, „უმრავლესობის“ არგუმენტით აპელირება ჰომოფობიურ რიტორიკასთანაა ახლოს. საქართველოსთვის განსაკუთრებით რელევანტურია ეს მაშინ, როცა მთავრობას სურს, თავი იმართლოს ადამიანის უფლებების დაცვის თვალსაზრისით უმოქმედობის შემთხვევებში. ეს განსაკუთრებით ეხება სექსუალურ უმცირესობებს, რომლებსაც, როგორც წესი, მთავრობა უსაფრთხო გარემოს ქვეყანაში ვერ უქმნის, და ამ თემის მიმართ განსაკუთრებულ მზრუნველობას არ ავლენს. 5 ივლისის ტრაგიკული მოვლენების კომენტარის სახით პრემიერმა განაცხადა: *„30 კაცი როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფომ, უმრავლესობას გადაუაროს?“* (Tabula 2021).

გამრიყავი პოლიტიკა მმართველი პარტიის ხელში, როგორც უკვე ვნახეთ, ერთ-ერთი საიმედო ინსტრუმენტია ძალაუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლაში. შესაბამისად, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს იარაღი ოცნებამ, რომელსაც ახლა ხელისუფლების შენარჩუნება განსაკუთრებით სჭირდება, ადვილად დათმოს. ამას ისიც ემატება, რომ ჰომოფობიური პროპაგანდა, რომელიც სამთავრობო მედიიდან იღვრება, არის ერთგვარი თავდასხმაც დასავლეთზე, განსაკუთრებით, ევროკავშირზე, საიდანაც, ბოლო დროს ოცნების მთავრობის მიმართ კრიტიკა გამძაფრებულია (Jones & Sabanadze 2023). მაგალითისთვის გამოკვეთილად პრო-სამთავრობო „იმედის“ ბოლოდროინდელი ანტიდასავლური პროპაგანდისტული მოღვაწეობა კმარა (Tabula 2023) [2] . შეიძლება ითქვას, რომ სახელისუფლებო მედიის გააქტიურება ანტიდასავლური პროპაგანდის მიმართულებით აჩვენებს ამოცანას, თანდათან გაზარდოს საზოგადოებაში ანტიევროპული განწყობები. ეს კი,

[2] დღეს იმედის სოციალურ ქსელებში ეს მასალა აღარ იძებნება.

ქვეყნის ეროვნული ინტერესების და სახელმწიფოს უსაფრთხოების თუ საგარეოპოლიტიკური ამოცანების შესასრულებლად სერიოზული ბარიერი იქნება.

პოპულისტური კონსერვატიზმისკენ გადახრა ქართულ პოლიტიკურ ველზე

ბოლო წლების განმავლობაში, ქართული ოცნება დემოკრატიზაციისა და ევროპეიზაციის გზაზე უკუსვლას განიცდის. შესაბამისად, სხვადასხვა კვლევების მიხედვით, მცირდება საზოგადოებრივი მხარდაჭერა პარტიის მიმართ. აქედან გამომდინარე, ქართული ოცნების პოპულისტური კონსერვატიზმისკენ გადახრა პარტიის განვითარების ლოგიკური, თუმცა ქვეყნისთვის სახიფათო ტენდენციაა. ლოგიკურია, რადგან, როგორც წესი, ხელისუფლებაში დიდ ხანს მყოფი ავტორიტარიზმისკენ მიდრეკილი პარტიები ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით საზოგადოებრივ ლეგიტიმაციას არა დემოკრატიული და ჯანსაღი სახელმწიფოს მშენებლობაში, არამედ მათ ემოციებსა და სენტიმენტებით მანიპულირებაში ეძებენ. შესაბამისად, კონსპირაციის თეორიები, მტრის ხატის შექმნა, დასავლური ლიბერალური დემოკრატიის დემონიზაცია ის პოპულისტური ხერხებია, რომლებიც მმართველ პარტიას ერთგვარ მაშველ რგოლად წარმოუდგენია ელექტორალური მხარდაჭერის მობილიზებისთვის.

თუმცა, ვიწროპარტიული ამოცანების მიღმა, ქართული ოცნების ამგვარი ფერისცვალება რისკებს წარმოშობს ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის: არადემოკრატიული ტენდენციების ფონზე, მცირდება საქართველოს ჯანსაღ ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისა და ევროპეიზაციის პერსპექტივა. შედეგად, მმართველი პარტიის წახალისებით, სივრცე იზრდება არალიბერალი ძალადობრივი ძალებისთვის ქვეყნის შიგნით და ჩნდება საფრთხეები საქართველოს დემოკრატიზაციის წინაშე. რომ აღარაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ქართული ოცნების პოპულისტურ-კონსერვატიული გადახრა შეიძლება, ნიშნავდეს ისტორიულ შემობრუნებას ავტოკრატიისკენ მიდრეკილი ქვეყნების საერთაშორისო კლუბისკენ, რაც საქართველოს საბოლოოდ დააშორებს ევროპული ოჯახისგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

Browne, Malachy, Botti David, & Willis, Haley. 2022. Satellite images show bodies lay in Bucha for weeks, despite Russian claims. ხელმისაწვდომია: https://www.nytimes.com/2022/04/04/world/europe/buchaukraine-bodies.html ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

CRRC Georgia. 2022. Which Party is Closest to You? ხელმისაწვდომია: https://caucasusbarometer.org/en/nd2022ge/PARTYSUPS/ ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

CRRC Georgia. 2023. https://caucasusbarometer.org/en/nm2023ge/PARTYSUPS/ ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

Civil.ge. 2022. Georgia's Score Continues to Fall in Democracy Index. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/archives/472269 ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

CPAC Hungary 2023. Speakers. ხელმისაწვდომია: https://www.cpachungary.com/en/speakers ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

Duek. Colin. 2019. Understanding Conservative Populism. ხელმისაწვდომია: https://www.aei.org/op-eds/understanding-conservative-populism/ ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

EIU. 2022. Democracy Index 2022. ხელმისაწვდომია: https://www.eiu.com/n/campaigns/democracy-index-2022/ ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

GIP. 2022. The Georgia Governance Index (GGI) 2022. ხელმისაწვდომია: https://gip.ge/publication-post/the-georgia-governance-index-ggi-2022/ ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

Jones, Stephen & Sabanadze, Natalia. 2023. Perspectives | Elections are not enough: Georgia needs a new model of democracy. ხელმისაწვდომია: https://eurasianet.org/perspectives-elections-are-not-enough-georgia-needs-a-new-model-of-democracy ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

Kakachia Kornely & Kakabadze Shota. 2022. What's Behind Georgian Dream's Anti-Western Rhetoric and Foreign Policy Behavior. ხელმისაწვდომია: https://gip.ge/publication-post/whats-behind-georgian-dreams-anti-western-rethoric-and-foreign-policy-behavior/ ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

Kakachia Kornely & Samkharadze Nino. 2023. People's Power or Populist Pawns? Examining Georgia's New Anti-Western Political Movement. ხელმისაწვდომია: https://gip.ge/publication-post/peoples-power-or-populist-pawns-examining-georgias-new-anti-western-political-party/ ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

Kiely, Ray. 2020. Assessing Conservative Populism: A New Double Movement or Neoliberal Populism? ხელმისაწვდომია: https://onlinelibrary.wiley.com/doi/abs/10.1111/dech.12567 ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

Makarychev, Andrey & Yatsyk, Alexandra. 2014. A NEW RUSSIAN CONSERVATISM: Domestic Roots and Repercussions for Europe.

Mudde, C. (2004) 'The Populist Zeitgeist', Government and Opposition 39(4): 541–63.

Mudde, C. (2016) 'Introduction to the Populist Radical Right', in C. Mudde (ed.) The Populist Radical Right: A Reader, pp. 1–10. London: Routledge.

PES 2023. Garibashvili CPAC intervention contravenes European and progressive values. ხელმისაწვდომია: https://pes.eu/pes/garibashvili-cpac-contravenes-european-progressive-values/ ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

Polyakov, Leonid. 2015. "Conservatism" in Russia: Political Tool or Historical Choice? ხელმისაწვდომია: https://www.ifri.org/en/publications/notes-de-lifri/russieneivisions/conservatism-russia-political-tool-or-historical-choice ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

Tabula. 2023. რა ფოტოებს ავრცელებს TV იმედი ანტიდასავლური პროპაგანდისთვის? ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/700795-ra-potoebs-avrtselebs-tv-imedi-antidasavluri ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

TV Imedi. 2023. მდიდარი ენჯეოების კლანი. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/tvimedi/posts/pfbid02Tuf6VLwSB23sJEq2NvFEtDRtuM8ubKZGDkdfxRkN3b5gxxuKcyoinpitpTyMp5Afl?locale=ms_MY ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

Walker, Kiara. 2022. Book Reviews. I the People: The Rhetoric of Conservative Populism in the United States by Paul Elliott Johnson, Tuscaloosa, University of Alabama Press, 2021. ხელმისაწვდომია: https://www.tandfonline.com/doi/abs/10.1080/00335630.2022.2144180?journalCode=rqjs20 ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

Zurabashvili, Teona. 2022. From Delegating the Coercion to Non-State Actors to the Idea of "Sovereign Democracy". ხელმისაწვდომია: https://gip.ge/publication-post/from-delegating-the-coercion-to-non-state-actors-to-the-idea-of-sovereign-democracy/ ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

ივანიშვილი, ბიძინა. 2013. ბიძინა ივანიშვილი: სექსუალური უმცირესობები არიან ჩვეულებრივი მოქალაქეები. ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/557182-bidzina-ivanishvili-seksualuri-umtsiresobebi ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

კობახიძე, ირაკლი. 2022. სცენაზე ვინც იდგა, ყველა იყო უსამშობლო და უღმერთო - კობახიძე „შინ ევროპისკენ" აქციაზე. ხელმისაწვდომია: https://publika.ge/scenaze-vinc-idga-yvela-iyo-usamshoblo-da-ughmerto-kobakhidze-shin-evropisken-aqciaze/ ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

კობახიძე, ირაკლი. 2023a. კობახიძე: ენჯეოები, გვარამია და მათი უცხოელი ლობისტები არიან, თავისი არსით, ანტიევროკავშირი. ხელმისაწვდომია: https://publika.ge/kobakhidze-enjeoebi-gvaramia-da-mati-uckhoeli-lobistebi-arian-tavisi-arsit-antievrokavshiri/ ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

კობახიძე, ირაკლი. 2023b. კობახიძე: ჩვენ ვივლით წინ ქრისტიანობით ევროპისკენ. ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/86523 ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

ნეტგაზეთი. 2019. ჩუგოშვილმა და კიდევ ექვსმა დეპუტატმა "ოცნება" დატოვეს. ხელმისაწვდომია: https://netgazeti.ge/news/405540/ ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

ოხანაშვილი, ანრი. 2022. უკრაინის ხელისუფლებას, ალბათ, ასწავლიან გვამების შემოდებას, კარგად თუ დაეხმარებიან - ოხანაშვილი ადეიშვილსა და ლორთქიფანიძეზე. ხელმისაწვდომია:

https://publika.ge/kargad-tu-daekhmarebian-adeishvili-lortqifanidze-da-skhvebi-ukrainis-khelisuflebaalbat-aswavlian-gvamebis-shemodebas-okhanashvili/ ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

რადიო თავისუფლება. 2012. პოლიტიკური კოალიცია "ქართული ოცნება" დაფუძნებულია. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/24491157.html ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

რადიო თავისუფლება. 2021. „უმრავლესობის დიქტატურა" - საქართველო სახიფათო გზაგასაყარზე? ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/31354883.html ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

რადიო თავისუფლება. 2023. ევროკომისია იხრება საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებისკენ - წყაროები ბრიუსელში. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32343675.html ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

რეალპოლიტიკა. 2023. ორბანი: ტრამპის პრეზიდენტობის დროს უკრაინაში ომი არ იქნებოდა. ხელმისაწვდომია: https://realpolitika.ge/ge/akhali-ambebi/orbani-trampis-prezidentobis-dros-ukrainashi-omi-ar-iqneboda ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

სამხარაძე, ნიკა. 2023. სამხარაძე PES-ზე. ხელმისაწვდომია: https://formulanews.ge/News/90008 ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

სამხარაძე, ნინო. 2021. რა საფრთხეებს შეიცავს ევროკავშირის ფინანსურ დახმარებაზე უარის თქმა საქართველოსთვის? ხელმისაწვდომია: https://gip.ge/ka/what-threats-does-the-rejection-of-the-eu-financial-assistance-contain-for-georgia/ ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

ქართული ოცნება. 2023. „ქართული ოცნების" პოლიტიკური საბჭოს განცხადება. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/kxBS7 ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

ღარიბაშვილი, ირაკლი. 2021. ღარიბაშვილი 5 ივლისზე: 30 კაცი როგორ უნდა დაიცვას სახელმწიფომ, უმრავლესობას გადაუაროს? ხელმისაწვდომია: https://tabula.ge/ge/news/673168-gharibashvili-5-ivlisze-30-katsi-rogor-unda ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023;

ღუდუშაური, ალუდა. 2023. ალუდა ღუდუშაური - დიახ, დედა ნამდვილად დედაა, მამა ნამდვილად მამაა და თუ ეს ძალადობის წახალისებაა, ნებისმიერს გიწვევთ და გაგცემთ პასუხს - ბუდაპეშტში ვნახეთ ღირსეული ქვეყნის ღირსეული პრემიერ-მინისტრის გამოსვლა. ხელმისაწვდომია: https://www.interpressnews.ge/ka/article/754555-aluda-gudushauri-diax-deda-namdvilad-dedaa-mama-namdvilad-mamaa-da-tu-es-zaladobis-caxalisebaa-nebismiers-gicvevt-da-gagcemt-pasuxs-budapeshtshi-vnaxet-girseuli-kveqnis-girseuli-premier-ministris-gamosvla/ ბოლოჯერ ნანახია: 22.05.2023.

საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი (GIP) არის არაკომერციული, არაპარტიული, კვლევითი და ანალიტიკური ორგანიზაცია. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი ცდილობს საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ორგანიზაციული საფუძვლების გაძლიერებას და ეფექტური მმართველობის პრინციპების განვითარებას პოლიტიკური კვლევისა და ადვოკატირების გზით.

აქ გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შესაძლოა, არ ემთხვეოდეს „საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის“ შეხედულებებს.

დოკუმენტის ციტირების წესი:

ნინო სამხარაძე, „ქართული ოცნების პოპულისტური კონსერვატიზმი: ბრძოლა ლეგიტიმაციისა და ძალაუფლების შენარჩუნებისთვის,“ პოლიტიკის მემორანდუმი #68, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, მაისი 2023.

© Georgian Institute of Politics, 2023
13 Aleksandr Pushkin St, 0107 Tbilisi, Georgia
Tel: +995 599 99 02 12
Email: info@gip.ge

For more information, please visit
www.gip.ge